ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6337146

ნომერი: AR1948092

თარიღი : 06.02.2023

გაცემის თარიღი : 21.02.2023

გაცნობის თარიღი : 21.02.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაია პ/ნ 37001058879
- თბილისი, ყიფშიძის 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 06 თებერვლის №AR1948092 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6313364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 13 თებერვლის №6325657 ბრძანებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა სრულად შევსებული. კერძოდ, წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი საზაფხულო, დამხმარე და ავტოსადგომის ფართობების ჯამური მაჩვენებლები და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობების მაჩვენებლები ერთმანეთთან შეუსაბამოა. ასევე, -3.1 ნიშნულის გეგმაზე „10-12“ ღერძებში და გადახურვის გეგმაზე (+23.6 ნიშნული) შეცვლილია გეგმარება. გარდა ამისა, 0.00 ნიშნულის გეგმაზე, „8-11“ ღერძებში არსებულ ფართზე მითითებულ უნდა იქნას სწორი დაკავებულობის დატვირთვა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საზაფხულო, დამხმარე, ავტოსადგომის და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2023 წლის 03 თებერვლის №6313364 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური მხოლოდ ის გეგმები, რომლებზეც ხდება ფართობების და დაკავებულობის დატვირთვის გასწორება, გეგმარების ცვლილების გარეშე.
ვინაიდან სამსახურის 2023 წლის 13 თებერვლის №6325657 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 13 თებერვალს, ხოლო, განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 20 თებერვალს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2023 წლის 06 თებერვლის №AR1948092 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.